გამარჯვება მეტოქის მინდორზე

ლენინგრადი. ვ. ი. ლენინის სახ. ცენტრალური სტადიონი. 15 აპრილი.

“ზენიტი” (ლენინგრადი) – “დინამო” (თბილისი) 0:1 (0:0).

“ზენიტი”: ტკაჩენკო, დავიდოვი, ლოხოვი, გოლუბევი, ბონდარენკო, დეგტიარევი, ლარიონოვი, კაზაჩონოკი, რედკოუსი, იაკიმცევი (ლაგოიდა), კლემენტიევი.

“დინამო: გაბელია, კოსტავა (ხიზანიშვილი), ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, გ. მაჩაიძე, შენგელია.

მსაჯი: ნ. გლებოვი (მოსკოვი).

გაფრთხილებული არიან გოლუბევი, ჩივაძე.

დუბლიორები – 4:2.

ლენინგრადელ ფეხბურთელებს ურიგოდ არ ჰქონდათ საქმე IV ტურის წინ: ისინი ლიდერთა ხუთეულში შედიოდნენ, სულ ერთი ქულით ჩამორჩებოდნენ თბილისის “დინამოს” და ამდენად, სრულ მზადყოფნაში ხვდებოდნენ თავიანთ დებიუტს საკუთარ სტადიონზე. ამინდი, რა თქმა უნდა, არასაფეხბურთო იყო – ნათოვარი, სველი მინდორი, სიცივე.

პირველი ტაიმი მიმდინარეობდა დაახლოებით თანაბარ ბრძოლაში, გარდამავალი უპირატესობით, – თუმცა, ორმხრივი იერიშებისას თბილისელთა თავდასხმას მეტი შესაძლებლობა ჰქონდა მიეღწია წარმატებისთვის, კერძოდ, ბურთის გატანის საუკეთესო შანსი მიეცა შენგელიას.

შესვენების შემდეგ, პირველი წუთებიდანვე, ინიციატივას საფუძვლიანად დაეუფლნენ თბილისელები. 49–ე წუთზე გუცაევმა გადაინაცვლა მინდვრის შუაგულში, მიიღო შენგელიას გადაცემა, მოატყუა ორი მცველი და შორეულ მარჯვენა კუთხეში დაარტყა. ტკაჩენკო უძლური იყო აეღო ბურთი – 1:0.

“ზენიტმა” მარცხს იერიშებით უპასუხა, განსაკუთრებით აქტიურობდნენ რედკოუსი, კაზაჩონოკი, ლაგოიდა, მაგრამ გუნდის იერიშები დიდხანს არ გაგრძელებულა. “დინამომ” მალე გადაიტანა თამაში წინ და ლენინგრადელთა კართან კვლავ გამოჩნდნენ გუცაევი, შენგელია, დარასელია. “დინამომ” შეინარჩუნა ძნელი, მაგრამ დამსახურებული გამარჯვება მეტოქის მინდორზე.

“ლელო”, 17 აპრილი, 1979 წ.